ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

ხარაგაული

04 თებერვალი 2021 წელი

დადგენილება N 4

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №16 დადგენილებაში „ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე,

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1 შეტანილ იქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №16 დადგენილებაში „ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 14/04/2015, სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.128.016217).

1. შეტანილ იქნეს ცვლილება, დადგენილების პირველი მუხლის პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„1. მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის გადამხდელია მშენებარე ობიექტის მესაკუთრე ფიზიკური ან / და იურიდიული პირი, ნებართვის მოსაკრებლის (შემდგომში – მოსაკრებელი) ოდენობა განისაზღვროს:

ა) ინდივიდუალური საცხოვრებელ სახლის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობანაგებობების მშენებლობაზე, პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 1 ლარი;

ბ) სხვა ნაგებობების მშენებლობაზე (მათ შორის, კომერციული საქმიანობის) პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 2 ლარი;

გ) ხაზობრივი ნაგებობის მშენებლობის შემთხვევაში, ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული თითოეული გრძივი მეტრისათვის 1 ლარი;

დ) საკურორტო ზონაში, სხვა ნაგებობების მშენებლობაზე (მათ შორის, კომერციული საქმიანობის) პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 2.5 ლარი;

ე) სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის, პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4

ვ) საკურორტო ზონაში, სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის, პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 5 ლარი;

ზ) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი, მოსაკრებლის ოდენობა:

ზ.ა) II კლასის ობიექტებისთვის – 50 ლარი,

ზ.ბ) III კლასის ობიექტებისთვის – 200 ლარი,

ზ.გ) IV კლასის ობიექტებისთვის – 400 ლარი.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს
გამოქვეყნებისთანავე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მანანა ბარბაქაძე